# რუბიკონი

## კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 8

კვირა 18 მარტი 1923 წ.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

კანტორა—პუშკინის პასსაჟი ტელ. № 4—08

ფასი 10 ათასი მან

## სტიპენდიები.

დღევანდელ ქართულ გამოცემათა ქრონიკებში ხშირად ამოიკითხება ხოლმე ცნობა, ზოგიერთ პირთა მთავრობის ხარჯზე საზღვარ-გარეთ გაგზავნის შესახებ.

რამდენადაც ჩვენ ვიცით ასეთ სტიპენდიების დანიშვნას, ან საზღვარ-გარეთ გაგზავნას ჯერჯერობით არავითარი სისტემა არ აქვს და უფრო ხშირად სრულიად შემთხვევითი ხასიათი ეძლევა, და ყოველ კერძო შემთხვევაში ეს დამოკიდებულია თვითონ გაგზავნილის მოხერხებაზე და უნარზე. უნდა ითქვას რომ საზოგადოთ სტიპენდიების საკითხს და საზოგადოების დახმარებით სწავლის მიღებას საქართველოში თავის ისტორია აქვს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამ მეოთხედს ქართველ ინტელიგენციისას, რომელიც დღეს ჩაბმულია საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში სწავლა და განათლება მიუღია სხვისი დახმარებით. ყველაზე უფრო დიდი ტრადიცია ამ საქმეში აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ვინც თვალს გადაავლებს ამ საზოგადოების მიერ წარსულში გამოქვეყნებულ ანგარიშებს ან და ვინც ამას მოიგონებს ამისთვის აშკარა იქნება რა დიდი საქმე გაუკეთებია ამ საზოგადოებას, რომელსაც წინად „კრამოლი"-ს ევვში შექონილს თითქმის არალეგალურად უხდებოდა მუშაობა.

ეს საზოგადოება წლიდან წლამდე ათასობით ზრდიდა ახალგაზრდებს და ზოგიერთ უმაღლესთა გამოკლებით, ყოველი სტიპენდიანტი ასრულებდა თავის ვალს და საზოგადოების იმედს.

ასევე არალეგალურად, მაგრამ ამავე სისტემით აგრძელებდა ამ საქმეს ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება, როცა, მას სათავეში უდგა ცნობილი თავდადებული რევოლუციონერი და პატრიოტი გიორგი ზდანოვიჩი და შემდეგ კიტა ჯაბაშიძე. მართალია ზოგ შემთხვევაში აქ იყო ერთგვარი შერჩევა თავისი ხალხის, მაგრამ მაინც ეს იყო დიდი ეროვნული საქმე.

მაშინ, რომ ასეთი საზოგადოების დახმარება და ნიჭიერ ახალგაზრდათა გზის გაკვლევა გამოცხადებული იყო საზოგადო საქმეთ და მამულიშვილურ მოვალეობათ ეს იქიდანაც სჩანს, რომ პრესის და საზოგადოებრივი აზრის გავლენით ამ საქმეს აგრძელებდნენ მაშინდელი ქველმოქმედი მდიდარი ქართველები როგორც: დავით სარაჯიშვილი და ძმები ზუბალაშვილები და ბევრი კიდევ სხვა, განსაკუთრებით ასანიშნავია დავით სარაჯიშვილი, რომელიც ასეთ შემთხვევაში არ არჩევდა ნიჭიერებში არავის და დახმარებას უწევდა ისეთ პირებსაც, რომლის იდეოლოგიას არ იზიარებდა, ბევრი სოციალისტი და ამასთან ძალიან ცნობილი ყოფილა ევროპაში მისი მზრუნველობით და ეს დამტკიცდა კიდეც მის სიკვდილის შემდეგ დაწერილ ნეკროლოგებში და მოგონებებში.

რევოლუციის შემდეგ მისწყდა კარგი ინიციატივა ამ საქმეში.

თავად-აზნაურობამ რომელიც შეადგენდა ყველაზე უფრო შეძლებულ კოლექტივს და რომელიც ყველაზე მეტ სტიპენდიანტებს ზრდიდა (უნდა ითქვას აგრეთვე რომ საზოგადოებრივი აზრის გავლენით უმრავლესობა სტიპენდიანტების არ იყვენ ამ წრიდან) მთელ თავისქონებას გადასცემს ეროვნულ მთავრობას, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული კონფისკაცია ამ ქონების.

წ. კ. საზოგადოებას თითქმის ლიკვიდაცია ლიკვიდაციაზე უხდება-მისი ქონებაც გადაეცა მთავრობას.

მართალია არსებობს ერთად ერთი ჭიათურის შავი ქვის საზოგადოება, მაგრამ როგორც ეტყობა ახალ ხელმძღვანელთ მაინცა და მაინც არ აწუხებს ასეთი საზოგადო ხასიათის საქმე.

სრულიად ბუნებრივი იყო და ის კი არა პირდაპირ ვალდებულება იყო ეს მთავრობის, რომელიც რევოლიუციის შემდეგ ჩაუდგა ერს სათავეში, გაეგრძელებია ეს საქმე.

არ უნდა მტკიცება იმას, რომ საქართველო იმდენად ჩამორჩენილია მატერიალურ კულტურით, და იმდენათ უკუღმა პროპორცია არსებობს სწავლის წყურვილისა და ამის მიღების საშუალების შორის, რომ თუ ამას არ მიეცა სახელმწიფოებრივი დახმარების ხასიათი, შეუძლებელი იქნებოდა ისე მოგვარება ამ საქმის.

მართალია ეს საკითხი იდგა კიდეც დღის წესრიგში სამი ოთხი წლის წინად და გადაიჭრა კიდეც ნაწილობრივად, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ძალიან დიდ მიკერძოებას, ჩვენ მაშინაც აგვინიშნავს და დღესაც გავიმეორებთ, რომ მთავრობამ ამას შეხედა არა როგორც ხალხის საქმეს, არამედ როგორც თავის პარტიის საქმეს და მიუხედავად დეკლარაციისა, რომ საზღვარ გარეთ სახელმწიფო ხარჯზე უნდა გაგზავნილიყო ასი ახალგაზრდა ტეხნიკურ ცოდნის მისაღებათ, ნამდვილად გაიგზავნენ ახალგაზრდები, რომელთაც ერთი სპეციალისტობა ჰქონდათ, რომ ყავდათ ნათესავები ან ნაცნობები მთავრობის წევრებში

ზოგიერთმა ავტორიტეტიანმა კულტურულ ორგანიზაციებმა მხოლოდ თავი დაიმცირეს თხოვნით, და თავის კანდიდატების წარდგენით, ეს საკითხი კულუარებში გადაწყდა. ჩვენ არ ვიცით დადგება თუ არა კიდევ ეს საკითხი დღის წესრიგში და რომ დადგეს კიდეც იქნება თუ არა ანგარიშში შეტანილი ის ელემენტები, საზოგადოების, რომელიც თავის პროფესიით დგანან პარტიების გარეშე, რადგან ემსახურებიან ისეთ საქმეს, როგორც ხელოვნება და კულტურა, რომელიც ისეთ ქვეყანაში, როგორ საქართველოა, შეუძლებელია მასიურად დაადგეს რომელიმე კლასის მხარეს.

რომ მოხდეს კიდეც, რომ ფინანსიური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკის გამოიცვალოს, მაინც აშკარაა და გამოცდილებით დამტკიცებული, რომ არ უნდა მოიშალოს კერძო ინიციატივა,

ჩვენ გვგონია უნდა დაარსდეს ახალი საზოგადოებანი, თუ წინად ეტნოგრაფიულ საზოგადოებას შეძლება ჰქონდა ჰყოლოდა სტიპენდიანტები, ნუ თუ ეს ვერ უნდა მოახერხოს ხუთი წლის ორგანიზაციულად მოწყობილმა ხელოვანთა კავშირებმა?..

თუ ესენიც ვერ მოახერხებენ, თუ ძველი საზოგადოებანიც, რომელთაც ჰქონდათ ამის ტრადიცია, ვერ გამოიჩენენ ამის უნარს და დაივიწყებენ მოქალაქეობრივ ვალს, მაშინ უნდა დაარსდეს ახალი უფრო ცოცხალი კოლლექტივი, რომელიც უნდა შედგებოდეს გავლენიან და შრომის მოყვარე წევრებიდან და რაც წინათ ხერხდებოდა, ნუ თუ იმავე მაშტაბით მაინც არ შეიძლება ამის გაგრძელება.

როგორ უნდა დაარსდეს კოლექტივი და როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის გეგმა, ამის შესახებ ცალკე წერილში.

ვარამ გაგელი.

## გამძლეობა პოეზიაში.

შეიძლება ითქვას, რომ პოეტების რიცხვი, რომელსაც იმეტებს ბუნება ამა თუ იმ ეპოქისათვის, მეტად განსაზღვრულია.

ყველას ახსოვს, რომ თუთხმეტი წლის წინად ჩვენს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა აუარებელი ახალგაზდა მწერალი (მე არ მოვიყვან მათ სახელებს) და ამ მწერლებიდან 1923 წლამდე მოაღწია სულ რამოდენიმე სახელმა. ზოგმა სრულიად დაანება წერას თავი, ბევრი განაგრძობს წერას მხოლოდ იმიტომ, რომ შეირჩინოს წინანდელი სახელი.

საზოგადოებამ არ იცის რაშია საქმე, მაგრამ უკვე არსებობს ლიტერატურული აზრი და ის აძლევს ნამდვილ დაფასებას მწერალს და პოეტს.

აკაკის და ილიას შემდეგ, როდესაც განთავისუფლდა პოეზიის სატურნირო მოედანი, უფრო ადვილი იყო პოეტის კარიერა.

პოეტური გვირგვინები დაადგეს თავზე ისეთ მგოსნებს, რომელთაც არავითარი კავშირი პოეზიასთან არ ჰქონიათ იმის გარდა, რომ ბეჭდავდნენ თავის ლექსებს. ქართული პოეზიის გმირული ხანა იწყება „ცისფერ ყანწებიდან". მე ვიზიარებ პაოლო იაშვილის აზრს, რომ „ყანწებამდე" ლიტერატურული შკოლა ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით, საქართველოში არ არსებობდა (თუმცა კიტა აბაშიძემ დაჰყო მწერლები შკოლებათ).

მაგრამ ამაზე შემდეგ. დღეს პოეზია დაიწმინდა განსაკუთრებით და ახალი სიტყვის თქმა გაძნელდა. სმენა იმდენათ გამახვილებულია, რომ ვერ აპატიებს მომღერალს ერთ შეცდომას, ერთ სიყალბეს. რასაკვირველია, ეს არის მეომარ პოეტების ბანაკში, თორემ არიან მგოსნები, რომელნიც უდარდელად და უმიზნოდ განაგრძობენ თავისი უნიჭო ლექსების წერას. მათ, როგორც ბურბონებს, რევოლიუციამ ვერაფერი ასწავლა.

დღეს პოეზიას არა სწამს დილეტანტები და კალმის მოყვარეები, პოეზია ითხოვს მთელ ადამიანს თავის სამსხვერპლო საკურთხეველზე. გაივლის კიდევ ხუთი წელიწადი და ბევრი ახალგაზდა მწერალი ვადა-გასულ მწერლებთან ერთად ჩამოშორდება პოეზიას.

პოეზიაში დარჩენისათვის საჭიროა დიდი ნების-ყოფა, ნიჭის ხანგრძლივობა, საჭიროა პოეზიის სიყვარული და შეგნება, საჭიროა აგრეთვე ერუდიცია.

ტეოფილ გოტიე ურჩევდა ახალგაზდა პოეტებს ლექსიკონების კითხვას. საჭიროა აუცილებლად პოეტებისათვის ლექსიკონებთან ერთად პოეტების ბიოგრაფიების კითხვა. ეს უფრო მეტს შესძენს პოეტს, ვიდრე ფილოსოფიური ტრაკტატები ხელოვნების და მშვენიერების შესახებ.

ყოველმა ახალმა ეპოქამ უნდა გადაახალისოს პოეტური ენა და შექმნას საკუთარი სტილი. ჭეშმარიტ პოეტს მოეთხოვება თავისი ხმა და არა მარტო ინტონაცია, თავისი სახეები, რითმები და რიტმები და უპირველეს ყოვლისა თავისი სტილი.

ბევრი სკეპტიკურად უცქერის თანამედროვე ქართულ პოეზიას, მაგრამ ის საკმაოდ ორიგინალურია და უარყოფს ბანალობას, როგორც თავის შეურიგებელ მტერს.

ჩვენ გვყავს პოეტები, რომელნიც მიიღო თანამედროვე საქართველომ, მაგრამ მე სხვანაირად მინდა დავსვა საკითხი, პოეტის გამარჯვება სიცოცხლეში. მის თანამედროვეებთან კიდევ არ არის უკანასკნელი გამარჯვება. ვინ არის ამაყი, რომ დაიჩემოს თავისი ლექსების უკვდავება მომავალში. ვინ უფრო გაძლებს, ვინ უფრო დააკმაყოფილებს მომავალ თაობათა ესთეტიურ წყურვილს? აქ არის საიდუმლო. შეიძლება გაიმარჯვოს მომავალში ისეთმა, რომელიც დღეს ნაკლებ ყურადღებას იპყრობს, შეიძლება გაიმარჯვოს გამარჯვებულმა. ვინ უფრო გაძლებს და რა უფრო გაძლებს? ჩვენ გვაქვს ორი მაგალითი: რუსთაველი და ბარათაშვილი (არ ვასახელებ ვაჟას, რადგანაც მისთვის ისტორია არ დამდგარა). რუსთაველმა გაიმარჯვა სამუდამოთ: წარსულში, აწმყოში და მომავალში. რა არის აქ მიზეზი გამარჯვების? აქ შეიძლება სხვა და სხვა განმარტება: იდეალური ფორმა, ღრმა შინაარსი, პოემის უნივერსალობა და იმავე დროს ეროვნული ხასიათი. მე არ ვიცი რა არის მთავარი მიზეზი. მაგრამ „ვეფხის ტყაოსანშია" ქართული პოეზიის რენესანსი მოოქროვილი; მხოლოდ რუსთაველის ამპარტავანი სახელი ამხნევებს ქართველ პოეტს მის ბრძოლაში ფილისტერებთან.

ბარათაშვილი არ არის წმინდა სრული ფორმის პოეტი, მაგრამ ყველაზე უფრო პოეტური პოეტი, თუ არტისტი არ, არის ბარათაშვილი. იმას აქვს ტემპერამენტი, აქვს მაგარი და ძარღვიანი რიტმი.

რა არის მიზეზი გამძლეობის? სტილი, ფანტაზია, ტემპერამენტი, სახე თუ რიტმი? შეიძლება იღბალი და კაპრიზი.

ფრანსუა ვიონის შემდეგ გავიდა ხუთასი წელიწადი და დღევანდელმა პოეზიამ ის გააცოცხლა.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## მუსიკა დრამაში.

საილიუსტრაციო მუსიკის წერა ძალიან ძნელია, თუნდაც იმიტომ რომ იმას არა აქვს შინაგანი განცდა, და მისთვისაც რომ ის უნდა დაექვემდებაროს უცხო გარეგან დასაწყისს,—შემოქმედებაში კი ყოველთვის საჭიროა თავისუფლება.

აქამდის საილიუსტრაციო მუსიკა არის მხოლოდ ფონი, რაც ანიჭებს მსმენელს იმ სულიერ განწყობილებას, რომელსაც ანვითარებს დრამა და ამიტომ მოსაწყენია კომპოზიტორისათვის და სახიფათოა დრამატურგისათვის.

იმ წუთში, როდესაც კომპოზიტორი ვერ შესძლებს, ან და არ ისურვებს დაიჩრდილოს თავი, მუსიკა, როგორც უფრო ძლიერი და ხმიერი გამოთქმა, იღებს უპირატესობას და ამსხვრევს პიესის გარმონიას.

მაშასადამე მთელი მიზანი კომპოზიტორის იმაშია, რომ ეზიაროს დრამის სტილს და მოძრაობას, ჰქონდეს იმდენი ტაქტი, რომ არ წაართვას სიტყვა დრამატურგს... თანამედროვე თეატრი მოითხოვს გაცილებით უფრო მეტს. ჩვენ მოწყენილები ვართ ოპერაში, სადაც მუსიკამ იმდენად დაიმონავა სიტყვა, რომ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვერ მივყვებით მას.

ჩვენ მოწყენილები ვართ დრამაში, სადაც ვამჩნევთ მეორე უკიდურესობას.

თანამედროვე თეატრი მოითხოვს ხელოვნების ყველა დარგების შედუღებას, კოლექტიურ შემოქმედებას უშუამავლოთ.

კოლექტიური შემოქმედების მშვენიერი ნიმუშია კოტე მარჯანიშვილისაგან დასადგმელად განზრახული „შპიგელმენში"—„სარკის კაცი", სადაც ფილოსოფოსი, ჯამბაზი, მუსიკოსი, ბალეტმეისტერი, მხატვარი, ელექტროტეხნიკი, ბუტაფორი და სხვა ისე არიან შეერთებულნი, რომ შეუძლებელია „ვინმეს" გამორჩევა.

შევეხე რა თეატრის ახალ მიებათ, მე არ შემიძლიან არ შევჩერდე გრიგოლ რობაქიძის „ლონდაზე", რომელიც დაწერილია დღემდე უხმარი ფორმით, სახელდობრ მუსიკალურით: ლონდა—სიმფონიაა. მე ვფიქრობ, რომ ამის აქ დამტკიცება შემიძლია.

უმაღლესი მუსიკალური ფორმა (სიმფონია, სონატა) შესდგება სამი ნაწილისაგან:

1. ექსპოზიცია (განმარტება)
2. დამუშავება.
3. რეპრიზა. (განმეორება)

ექსპოზიცია შესდგება ორი ტემიდან: მთავარი და მცირე, რომელნიც შინაარსით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. თუ მთავარი პარტია საზეიმოა ან სევდიანი, მცირე-მსუბუქია და გამჭვირვალე.

დამუშავება—დიდი მსვლელობა, რომელიც აშენებულია ექსპოზიციის მოტივებიდან; ამ მსვლელობის მასალა არის უმეტესად მთავარი პარტია; მცირე პარტია ჩვეულებრივად ჩნდება ეპიზოდიურად თემატიურ განვითარებას მოკლებული.

აი რითი ვხსნი მე ლონდას არ ყოფნას (მცირე პარტია) მთელს დამუშავებაში (პიესის მსვლელობა).

რეპრიზა—დაბრუნება მთავარ და მცირე პარტიასთან, რის შემდეგ ორივე თემები ჩაქსოვილნი წარმოადგენენ საბოლოო პარტიას.

გატეხეთ პიესა „ლონდა" ნაწილებათ ამ სხემით: 1) მთავარი პარტია—სტიქიური მოძრაობა, 2) მცირე პარტია—ლონდას გამოცხადება, 3) მთავარი პარტიის დამუშავება, 4) რეპრიზა და 5) დასკვნა.

როგორც მუსიკოსი მე ვამტკიცებ: რომ „ლონდას" სიუჟეტზე დაიწეროს სიმფონია და პარტიტურაში ჩაიწეროს პიესის ტექსტი შეუცვლელად, ორკესტროვკა—სიმფონიის ხმოვანება, რომელიც შესდგება ხის, სპილენძის, ცემის და სიმებიანი ჯგუფებიდან, შეივსება კიდევ ახალი ჯგუფით ადამიანის ხმებისაგან გარეშე ყოველი კომპრომისისა სიმფონიის მუსიკალურ ტრაქტოვკაში და ფორმაში.

და ასეთი მიზანი უნდა შესრულებულ იყოს.

თამარ ვახვახიშვილი.

## მთვარე პოეზიაში.

ლაფორგისთვის მთვარე იყო დედამიწა მხოლოდ მეორე სახით მოტრიალებული. დედა-მიწის ისტორია, მისთვის იყო ისტორია ხოლოსტიაკის ამიტომ ორგანიზმის. პირველად პროტოპლაზმა და შემდეგ თანდათანობითი გაწევა სივრცით და დროით. მიწა მიდის ორგანიული პროცესის ნიშნით ამიტომ არის ზრდა, აორთქლა, დაგროვება მოაზრების, ბაცილები, ტალახი, წუმპე და ბოლოს გადაშენება, დაშლა უკვე ისმის შორეული ხმები სამგლოვიარო მარშის პლანეტის გარდაცვალებაზე

აქედან ლაფორგის მიღება მეორე პლანეტის მთვარის, რომელიც არის ცივი, მკვდარი. სტატიური შინაგანი თვისებით, დასრულებული ორგანიულ პროცესით

პირველად ლაფორგმა იგრძნო მთვარე როგორც მეორე აპოკალიპსი და ჯვარცმა მთვარე არის მისტიური ორეული მზის დედის

სინამდვილის სახეს იღებს.

მთვარე არა დობილი მიწის, არამედ მისი ნატეხი, მისი ხორცი და სისხლი მხოლოდ დამშრალი და გაქვავებული.

მიწა—დედა მთვარის. უკანასკნელი ქალწული წმინდა და ნაზი. ეს ფიგურალურად რეალურად-მთვარე მიწის ნატეხი, მომსკდარი მიწისაგან იმ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის, სადაც ახლა ატლანტიდის ოკეანეა. ჯორჯ დარვინის ჰიპოტეზა უკანასკნელი მეცნიერულ მიღწევებით თითქოს მტკიცდება. მთვარე, ქალწული მიწის უდიდესი კატასტროფის, თვითონ ატარებს კატასტროფის მოჩვენებას. პოეტი მთვარეულია თავის თავად მთვარეს დაყავს პოეტი, როგორც მანეკენი. შეუძლია გაიყვანოს სახლის თავზე, ეკლესიის გუმბათზე, ბეწვის ხიდზე...

მთვარე გენიალური ჰიპნოტიზიორია. პოეტი მისი ხილვით გადადის სომნაბულაში, ირრაციონალში. ამიტო მთვარის ესთეტიკა უმეტესად მისტიურია.

პოეტი, რომელსაც აწვალებს მთვარე, ყოველთვის გრძნობს ახლო კატასტროფის სუნთქვას.

ახალგაზრდა სირიელმა თავისი ილბალი მთვარის შუქში იგრძნო იროდმაც მთვარეში დაინახა კატასტროფის მოციქული და მოითხოვა მისი მოშორება ციდან.

ახალი მთვარე თავის თავში ატარებს მაღალ ტრაგედიას და უფსკრულს. სალომეიას ტრაღედია მთვარის ლანშაფტში იშლება.

ახალი პოეზია კატასტროფიულია. ის „ორლობის ეშაფოტზე" არის დაკიდებული. ამიტომ მიიღო მთვარე როგორც ნათესავი.

მთვარის ფონზე შეიძლება გადაშლა იმ მიღწევების, რომლითაც მდიდარია თანამედროვე პოეზია. შესაძლოა გათვალისწინება პოეტურ საშვალებათა ორგანიული ზრდის.

ქართულმა ახალმა პოეზიამ მოაბრუნა მთვარე და მასში რეალურის გარდა დაინახა მეორე, უფრო დიდი ძალა მისტიური.

ნ. ბარათაშვილის და ვაჟა ფშაველას პრიმიტიული, სოფლის მთვარე დაიღუპა.

ქალაქის ახალი მთვარე მოვიდა რთული პსიხიურ და ფიზიოლოგიურ ტკივილებით. ყველგან მთვარე წარმოდგენილია როგორც ცოცხალი, აქტიური, განპიროვნებული. ხალხური ინსტიკტი ძლიერია პოეტში. მთვარის გავლენა უფრო ძლიერი კიდევ.

გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი მზის პოეტებია. მათში მზის ენერგიაა გადასული. ყოველი ლექსი გაცხოველებულია მზის თესლით.

გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი იღებს მზეს როგორც კატიურს, ვაჟურს, მწველს. მზე როგორც მეორე პოლიუსი მთვარის. მე ვგრძნობ ყოველ მათ ლექსს, როგორც ლეგენდარულ ლუმელს, რომელშიაც იწვის მთელი სინამდვილე და გადადის ფანტასმაგორიაში.

მზე ამასთანავე არის გატარებული როღევის, დაშლის. აპოლონის სიმკვეთრე კარგავს წონასწორობას და სამყარო დატრიალდება ან გადაქანდება.

უკანასკნელი საბედისწეროა მეტად. აქ მთვარის იდუმალი პერსონა ხდება დირიჟორად. საგულისხმოა. რომ მთვარე როგორც აქტიორი იქ გამოდის სცენაზე სადაც კატასტროფის ხმაური ისმის.

ამ მხრივ საგულისხმოა გრ. რობაქიძის „ქალაქი ფინომენი," სადაც ყველაფერი ილუპება და „ემმანუილ კანტ სამყაროს ეჭრება პოლიპის ძირებით".

აპოკალიპსის ცხენის ჭიხვინში ჩდება მთვარის მეწამული ხელი,

მთვარეს ელოდება მმარხველი ბიურო

ბალღებს აღარ ყოფნით მისთვის ხინახინა.

ქალებს ეკარგებათ მთვარესთან თვიური.

ქვეყანასთან ერთად პროცესია მთვარესაც მოასვენებს ბალდახინით. სასტიკი სახე გრ. რობაქიძის პოეზიაში არის ეპიზოდიური.

მისი რჯული მიწის ძირიდან მოდის. ქალური როგორც ნიშანი დაღუპვის მისთვის მიუღებელია.

ამიტომ არ იღებს გრიგოლ რობაქიძე გიორგის კულტსაც, რომელშიაც ქალური სინაზეა შეპარული და მით არის დარბილებული.

პაოლო იაშვილს სწამს მხოლოდ მზის მისტერია და მზის პლანეტარული ენერგია.

ვალერიან გაფრინდაშვილი არ არის მთვარის რაინდი. თუმცა იგი თავის თავად მთვარეულია თავისი ფანტასმაგორიით გრძნობს მთვარის ამღვრეულ თვალების ძალას.

სნეული მთვარე, ვით მიზრაფი შლეიფიანი

დაეძებს სკრიპკას—გაპარებულ სტრადივარიუსს. (ვერის კიბე)

მთვარის ინტიმით არის ათრთოლებული საბედისწერო სტრიქონები. ვალ. გაფრინდაშვილის პოეტურ კონცეპციაში მთვარე თანამედროვე პოეზიის ტკივილების უტყვი მზიდველია

ვალერიან გაფრინდაშვილი დადის ვერის კიბეზე, როგორც მთვარის შეწირული და მის მიერ შელოცვილი. ის მიყვება მთვარეს „ვით კოლომბინას ტიციანი ნორჩი, თვალია". (თვალთა საფერფლე სევდიანი-ყვითელი მთვარე)

ვალ. გაფრინდაშვილის მთვარე საოცარია და ირრაციონალური, როგორც მთელი მისი პოეზია. თვითონ სახე „მაღალი მთვარე" დაპუდრული, გამოთეთრებული მაგიურია თავის თავად, რომელსაც აქვს იდუმალი ძალა თვით ორეულის გასანაზებლად.

ტიციან ტაბიძე ყველაზე უფრო მძაფრია და სასტიკი დაშლის ყვავილები ყველაზე უფრო მის გულში პოულობს ნოყიერ ნიადაგს.

მისი მთვარეც ქერძაფით არის გაფითრებული. მისი მისვლა არის სიკვდილის უეჭველი ცხადება.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში მთვარე ყველაზე უფრო სასტიკია და ულმობელი. კონდოტიორი თვითმკვლელების.

„ამოდის მთვარე-თავის მკვლელთა ლეშით მსუქანი. (ნინა მაყაშვილს)" ეს სახე თითქოს პათომსის კუნძულზეა ამოჭრილი.

ხშირად მთვარე სრულიად იღუპება და მის ნაცვლად ცაზე კოსმიური გომბეშო გადმოაგდებს მუცელს.

ტიციან ტაბიძის მთვარის პეიზაჟი დაცხრილულია ქვეყნის გადაშენებით და უკანასკნელი განწირვით.

ტიციან ტაბიძეში მისტიური კავშირი მთვარესთან მოცემულია როგორც სინამდვილე მიწა იღუპება მალიარიის არიის აკკომპანიმენტის ქვეშ. იღუპება მთვარეც, რომლის სახე ხაშმით არის დაქმული.

ეწყება მთვარეს ხაშმიანი ცხელების სრესა

ღამეა თეთრი და შავია ქალდეის მესსა

თეთრი ღამის ფონზე მთვარის ცხელება საშინელი სახეა მეტად და დაუვიწყარი. ასეთივე საზარელია მეორე სახე უფრო ენერგიული და დინამიური

„მიბორგავს მთვარე ყვითელ საბანს მიახრიალებს." მიახრიალებს, რომელიც იწვევს გველის სისინს, ასოციაციას გესლს ასხამს მთელ სტრიქონს და სწამლავს სასიკვდილოთ.

კოლაუ ნადირაძე მთვარის დაფიცული რაინდია. ის გრძნობს მთვარეს გრ. რობაქიძის გამოთქმით სენსუალურად.

„ნეფე დედოფალს, მე და მთვარეს გვაგვიანდება" (საქორწინოდ მომზადება მთვარესთან ერთად).

სამარადისოთ ავირჩიე მთვარე სიცილით (ყალბი ავტობიოგრაფია). ამიტომ მისი მთვარე ნაზია მეტად. ის სუნთქავს ქალწულის სუნთქვით.

არის მეორე მთვარეც კოლაუ ნადირაძის პარადიზებში. მთვარე სასოწარკვეთილი და ამოსული ტიციან ტაბიძის სანაოებიდან, ორპირის ფშანებიდან.

მისი სახე ხაშმით არის გამურული. და სპლინით გალესილი. ამ მთვარეზე არის გადამტყდარი პოეზიის ახალი რიტმი გადაშენების და ეპოქის დეკადანსის.

„მთვარით დახაშმულს მოგიწვევდა ხმალში ჰამლეტი" (სონეტი ივანე მაჩაბელს). ეს სტრიქონი სონეტის შედევრია მეორე სტრიქონთან ერთად, რომელიც იმავე კოსმოგონიურ ციკლიდან არის ამოღებული.

„მწვანე ვარსკვლავთა შენ გზიბლავდენ ნაზი ფანდები."

არის შეხვედრა როცა მთვარე აპოკალიპსებურ მეძავის, თვალებით გადახედავს პოეტს:

„ეს კახპა მთვარე ვის ატყუებს თაღლითურ ქცევით"

მთვარის თემა სხვა და სხვა ვარიაციებით არის მოცემული კოლაუ ნადირაძის პოეზიაში.

გიორგი ლეონიძის პოეზია მიწის წვენით არის დასოლებული. პოეტი იშტარის და თესლის. მისი გრძნობა მთვარისაც გაჟღენთილია ასეთივე ენერგიით, როგორც ყოველი ლექსი. პოეტი მიწის და მისი ძუძუების მთვარესაც გრძნობს „ხორციელად"

ჩვენ გაგვტალღებს მთვარის მორევი

და შეგვაშინებს მთვარის დიდება

(აზნაური ქალი)

აქ მთვარე მოვარდნილია როგორც გრიგალი და მეორე წარღვნა. „გაგვტალღებს მთვარის მორევი" დაუვიწყარია.

ერუანტელს იწვევს მეორე სახე: „მთვარე ტყირიპით აივსო".

სერგო კლდიაშვილი მთვარეს გრძნობს. როგორც ბუტაფორიას მისი ათვისება მთვარის სრულიად ახალია ქართულ პოეზიაში. „ბამბის მთვარე"—მინიატურის საუკეთესო მოზაიკაა.

„შობის ხის ტოტებზე კიდია ქალალდის რაინდი, ჩინური კერპები, ოქროს თევზები,

„ბამბის მთვარე" ასეთ სინაზემდე მთვარის ლანშაფტი ქართულ პოეზიაში ჯერ არ დასულა. ბავშურ ნაივობაში ამეტყველებულია მაღალი ჭეშმარიტება.

შალვა კარმელის მთვარის გრძნობა ინტენსიურია. მისთვის ეს მნათობი არის ეშაფოტი. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა მისი ლექსი „მთვარის ეშაფოტი"

რაჟდენ გვეტაძეს აქვს ერთი სახე მეტად ძლიერი და მართლაც განწირული წინასწარმეტყველური მოგრეხით:

„მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი"

(მარო მაყაშვილს)

ეს სტრიქონი საუკუნოდ დაუკავშირდა უდიდეს ტრაგედიას. საყურადღებოა რომ მთვარე აქაც კატასტროფის ცხადებით მოვიდა კონსტ. ჭიჭინაძე მთვარეს გრძნობს როგორც ორსულ დედაკაცს რომელიც გამოაგდებს მუცელს მაღალ მთაზე.

გალ. ტაბიძე ერთგულია ისევ საშუალო საუკუნის მთვარის, რომელიც ართვილავს ცაში აგებულ კოშკებს. ეს მთვარე ისევ სოფლის წმინდა ჰაერზეა, მკრთალი უმი, ნაზი.

„მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:

საამო ნაზი, უხავერდო და უვნებელი"

(სიკვდილი მთვარესთან).

„მთაწმინდის მთვარე" არის იდეოლოგია სოფლის კულტურის, კანში მომწყვდევის. მაგრამ აქვს გალ. ტაბიძეს მეორე გრძნობა მთვარის, რომელშიაც სუსხია და წყევლა, რღვევა და ზიზღი.

მთვარეს ედება

ბაცილა (შიში)

მთვარე რომელსაც ბაწრებად ჩამოდის სპლინი და სხვა გვარი შუქი.

პოეზიის ახალმა პრობლემებმა თავისებურად შეატრიალეს მთვარის პსიხიური ათვისება

ბოროტი ყვავილების ტან ჟყრის შემდეგ მთვარის სონატა აღარ გაიგონება პირველი ხმებით. უფრო რულიეფურად არი გავლებული ეს ხაზი მთვარის მიღებაში. იგი გახდა პირველი სიმბოლო საერთო დაშლის და მომასწავებელი უდიდესი მიწის-ძვრის პოეზიაში."

მთვარის ლორწი დაეკიდა იდეიას თუ ხატულებას და უკიდურეს სკეპტიციზმის მარწუხამდე მიიყვანა იგი.

ქართულმა ახალმა პოეზიამ. ჩამოაგდო ციდან სოფლის მთვარე და დაშალა იგი როგორც ყოველი ნივთი.

ამ მხრივ უკიდურესი ფალანგა ტიციან ტაბიძის ხელშია. უფრო გამძაფრება მთვარის გრძნობის, გაგების შეუძლოა.

არის ორი გზა: ფალფისიკაციის—მთვარის ელექტრონით შეცვლა და მეორე დაბრუნება მთვარესთან.

ელექტრონის ლამფა ჩააქრობს მთვარის შუქს და ის იქნება მეორე ფეტიში, თუ მთვარე მოაბრუნებს დაწმენდილ პირს?.

ყოველ შემთხვევაში მთვარე დარჩება, როგორც მისტიური ხილვა პოეტის, რომელიც იქნება მოგონება დაღუპულ ანალოგიის შორეულ წარსულში.

პოეტი მთვარეული ვერ მოღუნავს მთვარის მაგნიტიზმს და მის დაუსრულებელ სისწაულს.

შალვა აფხაიძე.

# საფრანგეთის პოეტები

ლეკონტ-დე-ლილ.

## გიპოპოტამი

ჟავის ჯუნგლებში ულრანებს ჰპოტნის
შადედებული შუადღის შანთი.
ტორსს ჩამოზნექილს გიპოპოტამი
ცხელ შამბნარებში დაათრევს ზანტათ.

იწივლებს ბოა—მზის ნახევარი,
ხვადების გრიალს გააქს მუხრანი
და კამეჩების შავი ნახირი
ეძებს იალალს დასაბუღრავად.

არ ეშინია ასსაგაების,
ირგვლივ ისართა ხროვას აყენებს,
ნატყორცი ტყვია შავ სიგაების,
ზურგზედ ასხლტომას არ დაახანებს.

ვით ბეგემოტი გამაგრებული
ტყავით ძლიერით გაუხეთქარი,
ისე მე ჩემი რწმენის ბეგთარით
მოვდივარ მტკიცეთ მომედგრებული.

გიორგი ლეონიძე

# ალექსანდრე ყაზბეგი.

(დასასრული)

***

ორი პოლიუსია მის შემოქმედებაში: კატეგორიულად უარსაყოფი და კატეგორიულად მისაღები.

ლოღიკურად ეს ასეა, მაგრამ სინამდვილე და ლოღიკა იგივეობითნი არ არიან. სინამდვილეში გრადაციებია. მაგრამ ამ გარდასავალ წერტილების საძიებლად ანალიზია საჭირო. ალ. ყაზბეგს კი ანალიზი არ შეეძლო: თუმც იგი სულ პსიქოლოგიის ქვეყანაში ბრუნავს, მაგრამ ამ პსიქოლოგიის ცივი გადაშლა მას არ მოუხდენია. მას არ უძებნია ადამიანური იქ, სადაც მის ანთებულ თვალებს ნადირი ეჩვენებოდა კაცის სახით, და არც ცუდის კვლევა დაუწყვია იქ, სადაც მის ხევურ სინდისს ღმერთი ეჩვენებოდა თემის დროშებზე. ეს ფაქტი ფსიქოლოგიურად გასაგებია. შემოქმედს არ შეუძლიან ლოღიკურ კატეგორიებით მსჯელობა. იგი ან ფორს-მაჟორით მეტყველებს, ან ფორს-მინორით. ორივე შემთხვევაში აფექტებია, ეს უკანასკნელნი კი ანალიზს ვერ იკარებენ. აფექტაციამ არ იცის ღრმად ჩახედვა. მან იცის ან ავარდნა, ან დავარდნა. ალ. ყაზბეგიც აფექტებით შეპყრობილი მწერალია, და მიტომ ორი ფერი ჰყოფნის მოწოლილ ტანჯვის სათქმელად.

ზემოდ ვთქვი, რომ ალ. ყაზბეგი ეთიკის მწერალია. და ამ ორ პოლიუსზე, მას ორი ხასიათი აინტერესებდა: მორალური გნომი, რომელსაც ყველაფერი მიწაზე აქვს განართხული, და მორალური გულივერი, ცას რომ ებჯინება მართალი.

იგი ბოროტს ჰხედავს, მაგრამ არა ესთეტიურად, რომ ეჩვენებინა მისი პათოსი და სიდიადე, არამედ მორალურად, რომ ხელშესახები გაეხადნა ამ ბოროტების სიბინძურე და უკაცურობა. ასევე ექცევა კეთილს. იგი პირდაპირ სცდილობს რომ ფიზიოლოგიურადაც კი აგვიშალოს მოწონების ჟრუანტელი, როცა ოცქერით მისი გმირების დუელს ისტორიისა თუ ბედის-წერასთან. აიღეთ მისი ვაჟკაცი გმირები: ელგუჯა, სვიმონი, გუგუა, იაგო, კობა, მოძღვარი, გოჩა, ონისე, და სხ.. ან ქალები: მზაღო, ციკო, ნუნუ, მაყვალა და სხ... თქვენ მათ ნაკლს ვერ მოუძებნით. ავტორი მათ ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ყველგან სჩანს დიდი ენერგია, სიწმიდე და თავ-განწირვა. ესენი არიან ალ. ყაზბეგის იდეალური პიროვნებები, რომელნიც უნდა გადაეშენებინა ახალ დროს. აიღეთ ახლა მისი უარსაყოფი პირები: გაგი, ლუდუშაური, დიამბეგი, გირგოლა, გელა, და სხ.. აბა თუ მოუძებნით რაიმე სიკარგეს. ვერც-ერთს. განცალკევებით სდგას მხოლოდ მათია, მეტად მიმზიდველი და ბრგე სულის და სხეულის ვაჟკაცი, რომელიც ძმისთვის ყველაფერს კისრულობს, სიკვდილსაც, მაგრამ სიყვარულს ვერ უძლებს. მასში დიდი შინაგანი ბრძოლა სწარმოებს ძმად-ნაფიცობის და სიყვარულის შორის. აქ არის ცდა პსიქოლოგიურ ანალიზის, ამ ერთ შემთხვევაში, მაგრამ აქაც დიდი მღელვარება შემოაქვს ავტორს. სიყვარული იმარჯვებს მათიაში, მაგრამ ამ გამარჯვებას ასწრაფებს ავტორი მათიას და ელგუჯას უცაბედი სიკვდილით. თითქოს ავტორს ეშინოდა, რომ მკითხველში არ გამქრალიყვნენ ის სიმპატიები, რომლითაც განიმსჭვალებოდა ყველა, მისი გმირობის და საბრალობის მაყურებელი. მათიას მონათესავე არის ონისეც („მოძღვარი") ისეთივე შინაგანი გაორებით დატანჯული, მაგრამ ავტორისთვის მაინც საყვარელი.

აქ ჩემის აზრით ანალიზი მაინც არ არის. აქ უფრო სხვა ტენდენციაა. სახელდობრ: ალ. ყაზბეგი იკვლევს არა იმ მაღალ თვისებებს, რომლის მატარებელნიც არიან მისი ზნეობრივად მაგარი პერსონაჟები, არამედ დაინტერესებულია მათი მორალური ქვე-მეოფობითაც. მას პიროვნების სარჩულის გადმობრუნება სწადიან, რომ დაინახოს საშინელება კი არა, არამედ ადამიანის ენერგია და გამძლეობა. ყოველივე პიროვნება, თუ მეტი არა, ორი სულით მაინც არის ავსილი. ზნეობა ის კი არ არის, რომ ერთი სული გქონდეს და ზნეობრივი, არამედ ის, რომ მეორეც მუდამ გებრძოლოს სხვების უხილავად, და ყოველთვის გამარჯვება ჰქონდეს ზნეობრივ დასაწყისს. ადამიანი სხეულ მიღებული გამარჯვება უნდა იყვეს. ამის გარეშე რჩება მხოლოდ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ნაშენობა, სხვა არაფერი.

ალ. ყაზბეგი გადმოცემის მხრივაც პოლიარულია. იგი ან პიროვნებას ამოქმედებს, ან მასსას. სხვათა შორის მასსიურ მოძრაობის გადმოცემაში შეუდარებელია.

როგორც უკვე ვსთქვი, დინამიკა იზიდავს მას, და სადაც ამას ჰხედავს, მედგარი სიტყვა ებადება. თემის ყრილობა, დამწყალობნება, სახალხო განჩინება, საჯარო ბჭობა, ფიცი და ყველაფერი, სადაც მასსა მოქმედობს, ფიქრობს, განიცდის, ყველგან მაგნეტიურობა ძლიერდება. თვით ავტორიც განიცდის ყველა ამას, ხშირად სიტყვებიც ეკარგება, მაგრამ ამ ენის დაბმაშიც იმდენი მეტყველებაა, რომ ავტორი საწადელს აღწევს. შთაბეჭდილება მართლაც დიდი რჩება.—ბოლოს „მოისმა სიმღერის ხმა, და გამოჩნდნენ დეკანოზები დროშებით, რომელთაც სამასამდე შეიარაღებული ხალხი, ქუდმოხდილნი, სიმღერით მოსდევდნენ. ეს ხმა იყო რაღაც დიდებული ვაჟკაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც შიგ გულის საძირკვლიდან მოსწყდებოდა და მაღალის ბანით გრგვინვასავით გაივლიდა". ამ სიტყვებს წინ უძღვის ამ მსვლელობის განგაშის აღწერა. იქ ყაზბეგი ძლიერია, მაგრამ თითონაც უცქერის ამ სურათს კიდევ ერთხელ, უნდა დაეხმაროს მკითხველს, აუხსნას, მაგრამ ენა ებმის.

აი კიდევ ერთი მაგალითი: „კიდევ რამდენიმე წუთი ასე ქუდ-მოხდილები დარჩნენ, და ამ ვედრებაში იყო რაღაცა დიდებული, რაღაცა მუქარა, რაღაც იმედი და ნუგეში"... ვინ იტყვის რომ აქ ენა-ბლუ კაცი არ ლაპარაკობს? ერთ ფრაზაში სამი „რაღაცა", სამი სიგნალი. მაგრამ იმასაც ვინ იტყვის, რომ ამ სიგნალს იქით არ იმალება მართლა დიდი „რაღაც", არა როგორც უსიტყვობის საშუალება, არამედ როგორც თუ გნებავთ მისტიური განცდა, დიდი სულის შემოწოლა და უხილავის ყოვლის დამტევი კალთა. ეს აძლევს ყაზბეგის შემოქმედებას ძალას. ამ დიდ მასსიდან გამოჰყავს მას თავისი გმირები. მაგრამ ნურავინ მოსძებნის აქ ტიპებს. ყაზბეგი პოლიარულია, და მას შეუძლიან ან მასსის დახატვა, ან პიროვნების. მიტომ მის გმირთა შორის ტიპი არ არსებობს. მაგრამ ამას გარდა, ყაზბეგის შემოქმედების ამ თვისებას აქვს სხვა ახსნაც: მე მგონია, რომ ყაზბეგი პოლიარულიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ შესძლებდა ტიპების მოცემას, რადგან იგი ხომ განმტკიცებულ ცხოვრებას არ ჰხატავს, მთელი მისი დეტალებით, არამედ აშლილ ცხოვრებას. ტიპი კი დამცხრალ, მყუდრო ცხოვრებაში სჩანს.

აზობოქრება ტიპსა ჰკლავს, და მის ადგილს იჭერს ინდივიდუალობა, გუშინ უჩინარი, დღეს კი დიდი ამბების მტვირთველი და გადამტანი.

ალ. ყაზბეგის გმირები—პიროვნებები არიან, რომელნიც გარემოს უცქერიან შინაგანი ბრძოლით, თუ კი იგი მათ დააწვება სასიკვდილოდ. მათი გარდაქმნა არ შეიძლება ისე, თუ ამ გარდაქმნის სტიმული შინაგანი ბუნებით არ გამოდის.

ყაზბეგის შემოქმედებაში ცხოვრება მუდამ მარცხდება, ე. ი. გარემო. ტიპი კი ცხოვრების, ანუ პირობების გამარჯვებაა.

ტიპი—საზოგადოებრივი დაღლა არის, პიროვნების შუბლზე დაკრული. ასეთი პიროვნება კი ყაზბეგს არა ჰყავს. შეიძლება კი გეჩვენოთ, რომ არიან თემის ბეჭდით მოარულნი, მაგრამ ეს მხოლოდ უცები ჩვენებაა, თუ ჩაუკვირდებით, ნახავთ, რომ მართალია, ალ. ყაზბეგის გმირთა დრამა იშლება ორ პოლიუსს შორის: თემი და პიროვნება, და ეს ორივე ძვირფასია მათთვის; მართალია ისიც, რომ ამ განწყობილებათა შორის მიდის მათი კონფლიქტი და ტრაგედია, მაგრამ პიროვნება აქ მაინც თავისუფალია.

რასაკვირველია, თემიც პიროვნების შემზღუდველია რაოდენადმე, მაგრამ თემმა ისიც იცის, რომ სხვაგვარად შეუძლებელიც არის და სცდილობს პიროვნებას რაც შეიძლება ხშირად ჩამოეცალოს თავისუფლების გზიდან. აკი ამბობს კიდეც მზაღო, რომ „თემი გონიერია".—ხალხო! სმენა იყოს და გაგონება!.. დღეს ჩვენ ისეთი დღე მოგვადგა, რომ ჩვენ თვითონაც ვერ გაგვიგია, რაი პირი დატრიალდა?! ალამაჰმადის დროსაც არ გვქონია ეს გაჭირვება... გეხვეწებით ამ მოხუცის თავით უფრთხილდით ერთმანეთს, უბრალოდ მტრობას უფრთხილდით! იქნებ ხვალ და ზეგ ეგეთი დღე დაგვადგეს, რომ თითო თავი ათასად დაგვიფასდეს... მშვიდობიანობას ეცადეთ თქვენი ჭირიმეთ მშვიდობიანობას!" ასეთ ენით მეტყველებს თემის თავმჯდომარე. („ელგუჯა.")—„ის ქალი ამბობს. რომ თავის ნებით გაჰყვა, უყვარდა და იმისთვის; რომ ღვთისაგან იმედი არ ჰქონდეს, ელგუჯას გადარჩენისა, მაშინ ის თავს მოიკლავდა"... „თავის ნებით", აი ეს არის ყველაზე დიდი საბუთი, და თემი აქ აღარ ჩაერევა.

მეორე მაგალითი:—„ქალაუ, იქნება გეშინიან და იმად იძახი მაგას?

— რაისი უნდა მეშინოდეს?

— თუ ძალად ხარ წამოყვანილი, მთელი სოფელი აქა ვართ. ღთის მადლმა, გავსწყდეთ, ის გვირჩევნიან, სანამ სალექსოდ საქმე გაგვიხდეს"...

— აბა რაიღა გვეთქმის წარმოსთქვა ერთმა.

— არც-რა,—უპასუხეს სხვებმა. შუაკაცები დაბრუნდებიან ხალხში.

— „შავ თვალაუ! დაიწყო ერთმა:— მოიხედე-და რაი გითხრა! სანამ ხალხს ეგონა, რომ ქალი ძალად გაიტაცეს, ძალად ჰყავსთ დამწყვდეული, მთელი სოფელი წამოვიდა მდევრად და ღთის მადლმა, ვაჟკაცობასაც იქმოდა, მაგრამ რა კი გაიგო, რომ ქალი ნებითაა წამოსული, მაგათი საქმე აღარაა"... აქაც „თავისი ნება." ასე აფასებს თემი პიროვნების თავისუფლებას.

არის ერთი საცთურიც, რომ ყაზბეგის გმირებში ტიპი მოგეჩვენოთ. თითქოს მათში ზოგადი ელემენტებია მოქცეული, რაღაც შემკრებლობითი ხასიათი, რადგან ისინი თითქოს ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ აქაც ჩაკვირვებაა საჭირო, რომ დაინახოთ სხვა და სხვაობა.

ერთფეროვანობა ილუზიად მოდის, რადგან ყაზბეგი მთელ თავის პოეტური ფანტაზიას ატრიალებს დარიალის ხეობაში აწყვეტავს არაგვისა და თერგის კლდეებს, ჰმოქმედობს ძაუგიდან სნომდე. ერთ თემს ეხება, და მიტომაც გვეჩვენება ერთფეროვნება.

ასევე ერთფეროვანია ხალხის კრება, ჯარი. მიდის მასსა, თითქო ყველა ყველასა ჰგავს. მაგრამ ეს ილუზიაა, სინამდვილე კი ხასიათთა სიმრავლეს ამტკიცებს.

ნამდვილად საერთო ყაზბეგის გმირებს ისა აქვთ, რომ ყველა ჰირვეულად მოითხოვს თავისას, პიროვნულს. მეტ წილად სიყვარულს, რომელიც თავისი მოუშორებლობით ათორთქებს მათ ბუნებას.

სიყვარულს ვერ სთმობენ ვერც ელგუჯა, ვერც იაგო, ვერც ონისე, ვერავინ. იგი მეტად ძლიერია, თუმც მისი განვითარების დიდი გზა არსად არ არის ნაჩვენები ავტორის მიერ. აქ ეს გრძნობა უცბად იზრდება, მაგრამ უცბადვე რიდი ჰქრება. იგი ანდამატივით იზიდავს შეყვარებულთ, და ჯოჯოხე-

## მისს ლეა ლე.

აი ამ საღამოს ტრაურულ ლამპასთან
მე ვფიქრობ თქვენზე—
მისს ლეა ლე!
როგორც ედგარი თავის ლენორაზე.
იყავით, ალბათ, ქერა და მაღალი—
ქალი ინგლისელი.
ნეტა გამეგონა თქვენი ხმის შრიალი.
ვეამბორებოდი
თქვენს ვიწრო თითებს.
გუშინ დაგინახეთ ქუჩის მოსახვევში.
თქვენ მოგელიან ქიმერიონის აჩრდილები
და კოლომბინა—თქვენი ორეული.
ხართ წვიმისფერი და ნაზი
როგორც მარცხენა ხელი.
მისს ლეა ლე, ლეა ლე!
თქვენ გარდაიცვალეთ პოეტის შემდეგ—
პლექი—მადონა. სრულიად ობოლი.
თქვენი რეკვიემი ვინ გამოიტირა?
ვინ შეგიკრათ მაჯაზე ხელთათმანი.
ვინ გაგაცილათ საფლავამდე?
ალბათ ასვენიხართ მეუღლის გვერდით
ვით უცხო ბავში.
რა საჭიროა მეტაფორა!
მე მინდა მხოლოდ ვიმეორო
თქვენი სახელი: მისს ლეა ლე.
თუ თქვენი ლანდი მობძანდება ჩემს ოთახში,
მე წაგიკითხავთ „მღვდელს და მალიარიას“,
სადაც ტიციანმა
პირველათ დაიკვნესა: მისს ლეა ლე!

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

## ნიკო ფიროსმანი.

მაყვლის ტოტებით ორღობე გრძელი
მზით დაფარული პატარა სახლი,
ჯანსაღ ვენახში მწიფე ყურძენი,
ურმის ჭალებზე მოქნილი სახრე.

ზმორებით მიდის ხარი ყირმიზა,
ელტვიან ქვები სიცოცხლის მადანს.
მიწას ამძიმებს რქები ირმისა,
ლელვის ფოთლები ვნებიან ადამს.

ალიმებს მკერდებს ცა უნაზესი
ნიკო ფიროსმან და მირზაანი—
თვალები ბრწყინავს, ვით ოაზისი
რონინობს სიტყვა, როგორც მიზანი.

საყდარი თეთრი, ქორწილი ღვინით,
მიმინო ცაში, ლეკური ჩქარი
ხელადა სველი. ცხენი ჭიხვინით.
ამაყი ნება. ამაყი ქალი.

**ნინა თარაშვილი**

## ბიბლიოგრაფია

М. Гершензон. Гольфстрем.

ეს ავტორი საინტერესოა ყოველთვის. სემიტური თესლი სლავურ საშოში, მგონი, გერშენზონმა ყველაზე უფრო გაახელა. ეს ახალი წიგნი ახალი ტემაა,—„ბნელი, როგორც ისტორია მიდიელთა“. იგი ეხება სულის ტემპერატურას. ჯერ ჰერაკლეიტოს ეფესელი და შემდეგ ალექსანდრ პუშკინ. სიცოცხლე მოძრაობაა და ცვლა. მოძრაობა და ცვლა ნახულობენ თავის მატერიულ სახულებას „ცეცხლში“. სიცოცხლე ცეცხლია (—რა გაეხარდებოდა ჰერაკლეიტოსს, რომ ქართული ენა სცოდნოდა: „სიცოცხლე“ და „ცეცხლი“ ერთი ძირის არიან; გ. გ.). თვითონ ასეთი ათვისება კოსმოსის „სიტყვიერია“ უპირველესად. მაგრამ „სიტყვას“ აქ აქვს პირვანდელობა მნიშვნელობის.

ავტორის სიტყვები: „პოეზია არის ხელოვნება სიტყვის, და შოქმედება, მის მიერ წარმოებული, არის იდუმალქმედობა სიტყვის. ამისათვის სწორად კითხულობს პოეტს მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია ათვისება სიტყვის... ჩვენმა სიტყვამ გაიარა დროში სამი ეტაპი: იგი დაიბადა როგორც მითოს; შემდეგ, როცა დრამატიზმი მითოსის მოკვდა და გაქვავდა სიტყვაში, იგი იქცა მეტაფორად; და ბოლოს ხატი თანდათან მიმქრალდა და სრულიად დაქვნა,—მაშინ დარჩა უსახო, უფერო, უსურნელო ნიშანი განყენებულის, ესე იგი, გვარეული ცნების. ასეთნი არიან ეხლა თითქმის ყველა ჩვენი სიტყვანი. მაგრამ პოეტმა არ იცის კვდარი სიტყვა: შემოქმედების ვნებიან ატაცებაში მისთვის მკვდრეთით დგება ხატური საზრისი სიტყვის, — საუკეთესო, საბედნიერო წამების დროს კი საუცხოვოდ ცოცხლდება თვითონ ჰალარა წინაპარი გვარეული ნიშანის — პირველყოფილი მითოს. სიტყვამ საუკუნოდ განასხეულა თავის თავში მითოს და ხატი, მაგრამ ისინი ცოცხლობენ მასში ფარული სიცოცხლით; პოეტი, როგორც საქმარო, ცხელი კოცნით აცოცხლებს მძინარე მეფის ასულს, ხელის სითბოთი ათბობს გაცივებულ ბარტყს,—მკითხველი კი, მოშორებული შთაგონებას, ვერ ხედავს მომხდარ სასწაულს და მისთვის ჩვეულ განყენებულ ნიშნებს. ამისათვისაა, რომ პოეზია, ოდესღაც მასწავებელი თემთა, გახდა დღეს უსაქმო სამკაულად სიცოცხლისა, და დიდნი სწავლანი, მასში მყოფნი, რჩებიან დამარხულ საუნჯედ“.

გერშენზონი სწორეთ მითოსით იღებს სიტყვას და ასეთნაირად მობრუნებულ სიტყვაში სჭვრეტს იგი ფილოსოფიურ სისტემებს. მაგალითად: სული ადამიანის ცეცხლია გარჩევა სულთა შორის არის გარჩევა სხვადასხვა ძალის მხრით. ეს დებულება გერშენზონის კვლევაში სცილდება ვერბალურ ხაზებს და გადადის მითური გზნებით გამართულ სოფლხედვაში. აქ ხატი-სიმბოლო, მისივე სიტყვით, „იდება და იზრდება როგორც მზიური ნაყოფი“. კრიტერიუმი შეფასების ამ შემთხვევაში—„ტემპერატურა“. უდიდესი წვა არის უდიდესი სიცოცხლე. ნამდვილი და სწორია მხოლოდ ის იდეა, რომელიც შთაგონებულია ლოგოსით, ანუ მსოფლიო ცეცხლით. პუშკინის სიტყვებით სჩანს, მაგალითად, რომ ნაპოლეონი იყო გმირი, ესე იგი, ცეცხლეული სული, და არა მტარვალი (სინონიმი სულის უკანასკნელი გაცივებისა). აქ ფილოლოგია გადადის მითოლოგიაში,— და გერშენზონიც თავს არ ზოგავს, რომ სანსკრიტიდან ვიდრე თანადროულ ენებამდე აცხადოს მითური საზრისი „ცეცხლისა“ და „წვისა“.

რიგ-ვედის ცნობით: აგნი (ცეცხლი) ადამიანის გულშია, როგორც „მრავალსახეულ-მშობადი“. იგია ცხოველებში, ქვებში, მცენარეებში. თვითონ მიწა „ორსულია მით“. ზენდ-ავესტის ცნობით: ორმუზდი ამბობს: „მე ჩავდე ცეცხლი მცენარეებში და სხვა საგნებში და არ დავსწვი ისინი“. ჰელლენთა მითოს: პრომეთეოს არის „ცეცხლ-მოსილი ღმერთი“; „ჰეფესტი—შობიერებაში ცეცხლი“. ერთი საინტერესო ფაქტი: ძველი ხალხები ცეცხლს აჩენდნენ იმ ხეთა შეხლისაგან რომლებიც იძლეოდნენ დამათრობელ სასმელებს. აქედან ნათესაობა ფიზიური ცეცხლისა და ექსტაზის: უკანასკნელი წვა არის.

გერშენზონი დაასკვნის, რომ ძველად იგივე ცოდნა იყო მხოლოდ სხვა სიტყვით. თანადროული ცოდნა (ტერმო-დინამიკა, ტეორია რელატიურობის, ჰიპოტეზი ეფირის, სწავლა ატომზე) იგივე ძველი ცოდნაა: ყოფას არ აქვს მატერიალური სუბსტრატი, მისი არსება მოძრაობაშია, რომელიც სითბოს სახით ჰქმნის ყველა ფორმებს სამყაროისას.

წიგნ იკითხება დიდის ინტერესით მხოლოდ ერთი შენიშვნა. პარალლელისათვის აქ პუშკინი ისევეა გამოსადეგი როგორც რომელიმე სხვა პოეტი, ეს არღვევს წიგნის შინაგან არქიტექტონიკას. კიდევ სხვა: ავტორი თითქო ჯერ კიდევ ელის „უკანასკნელ“ ძირეულ ხილვას:—ასეთია შთაბეჭდილება.

**გივი გოლდლენდ.**

## ქრონიკა

**„ანთებული ხეივანი“.**

რედაქციამ მიიღო ს. აბაშელის ლექსთა კრებულის მეორე წიგნი „ანთებული ხეივანი“. ფასი ხუთი შაური

**ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე.**

ტფილისის ფრანგულ ლიცეის მასწავლებელმა ლიუზენმა დაამთავრა ოცი წლის ნაშრომი „ქართული გრამატიკა ფრანგულად“. ლიუზენმა დაამუშავა ჩვენი გრამატიკა და ბევრი ახალათაც შეიტანა შიგ. აღნიშნული შრომა თავის მნიშვნელობით პირველია, როგორც საგრამატიკო სახელმძღვანელო. შრომა შეიცავს 200-მდე გვერდს.

**სამედიატორო სასამართლო.**

ამ დღეებში რუსთაველის თეატრში სამედიატორო სასამართლო არჩევდა ქართული დრამის რეჟისორის—კოტე მარჯანიშვილსა და აკადემიურ თეატრების მართველის ალ. წუწუნავას შორის მომხდარ ინციდენტს.

კოტე მარჯანიშვილის მხრივ მედიატორეთ იყვნენ: პროფ. შალვა ნუცუბიძე და მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე, ალ. წუწუნავას მხრივ: ივანე გომართელი და ვექილი ა. ქლენტი. თავმჯდომარეთ მოწვეული იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

საქმე ირჩეოდა რუსთაველის თეატრის სარეპეტიციო ზალაში და ესწრებოდა აუარებელი ხალხი, განსაკუთრებით არტისტების წრიდან.

სასამართლო მოითხოვა ალ. წუწუნავამ, რომელმაც შეურაცხყოფად მიიღო კერძო გამოსვლა არტისტების წრეში ალ. წუწუნავას ადრესზე.

სასამართლომ სერიოზული ხასიათი მიიღო: კოტე მარჯანიშვილი ბრალს სდებდა ალ. წუწუნავას რომ ის ეკიდება ქართულ დრამას არა მეგობრულად და უნდა გააძლიეროს დრამის ხარჯზე სახელმწიფო ოპერა.

საქმე ირჩეოდა სამი დღე, ორივე მხარემ მოწმეების დაუკითხავად წარმოადგინეს აუარებელი მასალები.

სასამართლო არ იყო მოკლებული საზოგადო ხასიათს.

**ქართველი მომღერლების გაგზავნა ევროპაში.**

სახალხო განათლების კომისარიატის შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭო თავის ხარჯზე აგზავნის იტალიაში ოპერის ქართველ მომღერლებს—ალ. ინაშვილს და ვასილ შარაშიძეს.

ორივე მომღერლები მიემგზავრებიან მილანში, სწავლის გასაგრძელებლად. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ოპერის თეატრში არტისტებს უმართავენ ბენეფისს.

ა. ინაშვილი იმღერებს „ტოსკა“-ში და „აბესალომ და ეთერში“, ვასილ შარაშიძე „კნიაზ იგორში“.

**სტიპენდიები კონსერვატორიაში.**

სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით სახელმწიფო კონსერვატორიებში ქართველ მოსწავლეთათვის ინიშნება ათი სტიპენდია.

თვითეული სტიპენდია 7 მილიონი თვეში.

**ია კარგარეთელის იუბილეისთვის.**

ხელოვანთა მთავარ კომიტეტის და საიუბილეო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყდა, ია კარგარეთელის იუბილე გაიმართოს ოპერის თეატრში ახალ კვირისთვის.

მოხსენების წაკითხვა კომიტეტმა დაავალა დიმიტრი არაყიშვილს და ი. გრიშაშვილს.

---

თიც ძალას ჰკარგავს ამ დიდი, ხევური სიყვარულის გვერდით. აქ სიყვარული სიკვდილზე ძლიერია, რადგან ჰბადებს სიცოცხლის შიშს. თუ ელგუჯა მოჰკლეს, მზაღოს სიკვდილისა ეშინიან, რადგან შერცხვენილი როგორ უნდა ეჩვენოს ელგუჯას საიქიოს. ნამუსი აჰხადეს, მაგრამ ხანჯალი ხომ თანა ჰქონდა? სიკვდილისა ეშინიან. სიკვდილი აღარ უნდა, მაშ უნდა იცოცხლოს. არა, სიცოცხლე უფრო საშინელია. ყაზბეგი ამბობს: „მზაღოს სიკვდილისაც ისე ეშინოდა, როგორც სიცოცხლისა“-ო. ეს როდია უბრალო ფრაზა. სიცოცხლის შიში, ეს მეტად რთული პრობლემაა, და რამდენადაც ვიცი, ჩვენს ლიტერატურაში პირველი თქმაა. ხოლო თუ ამ დიდ თემაზე მეტი არაფერია თქმული, ეს იმიტომ, რომ ყაზბეგის გმირებს საზოგადოდ არ ახასიათებთ აზროვნება. აქ განცდებია იდეათა დიალექტიკის ადგილას, აქ—აფექტებია, ცნებათა ნაცვლად.

***

ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი რამ: მან ხევის სიკვდილი გადაშალა სქესობრივი სიყვარულის ფონზე, და ამით ორი სიმძაფრე შეახალა ერთმანეთს. ამბავთა ქარიშხალი, განცდების მორევები, შთაბეჭდილებათა სიმრავლე, ფაქტების ერთფეროვანი სიჭრელე და კატასტროფების ტება ყოველ წუთს.

სულ საბედისწერო ფინალები, სულ დაღუპვა. დაღუპვა ორივ მხრივ სიკვდილით და სიყვარულით. ხევი იფშხვნება ნოტიო კლდესავით, და ეს შავი ქვიშა კვლავ კლდესავით იკუმშება სიყვარულის ქვეშ მომტანი ხელ-უხლებ მონუმენტივით. ხევს ჰკლავენ, დე ეს მკვლელობა გაალმასებულია სიყვარულის კალთაზე. საინტერესოა თვით სიყვარულიც ყაზბეგის შემოქმედებაში. საერთოდ ცხადია, რომ ამ გრძნობის მეუფება ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ მისი შინაარსი ეპოქისა და ხალხის თვისებებით განისაზღვრებოდა ყაზბეგის პიროვნებებსაც უყვართ, მაგრამ არის ამ სიყვარულში ნიშანდობლივი და კერძო. მართლია, თემის ბატონობა დიდია, როგორც უკვე ვთქვი, მაგრამ იგი როდი ვრცელდება პიროვნების სულის ფესვებზე. ინდივიდუალობა როდი არის შედედებული. მართლია, აქ თითქოს ძველი ჩვეულებებია, ცხოვრების პირველ-ყოფილობა, მაგრამ აქვე არის ინდივიდუალობის გამახვილება და ნავარდი. ძველად პიროვნება საზოგადოებას ეწირებოდა მთელი სიცოცხლით. ასეთი იყო იმ დროული გაგება. მაგრამ ყაზბეგი იმისთვის მისტირის მის თვალწინ მომაკვდავ თემის დაშლას, რომ აქ ეგულება პიროვნებისათვის ძვირფასი პირობა. ეს დანაკარგი სულ ახალი მოვლენაა, თუ პოზიტიურად არ არსებული, იდეალურად წარმოდგენილი მაინც. ის პიროვნების თავისუფლება, რომელიც ხევში იყო პრიმიტიულ ფორმით მოცემული, დღესაც საძიებელია ბრწყინვალე კულტურის და ცივილიზაციის ქვეყნებში. თავისუფლება, გრძნობით ავსილობა და დანდობა, ეს თვისებები ახასიათებენ ყაზბეგის გმირებს, თავის შესაკრებს სიყვარულში ჰპოულობენ. ეს სიფარული ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში ხორციელია. მის გმირებს სხეული უყვარო. სულიერი სილამაზე დრამის პროცესში იშლება. იგი შემდეგი ეტაპია, თორემ გრძნობით შეპყრობა, ფიზიკურ სათავედან მოდის. მაგრამ ეს ხორციელი სიყვარული იმას კი არ ჰგულისხმობს, რომ სულიერი სილამაზე არაფრად მიაჩნიათ, არა. ისინი სულიერ სილამაზეს არც კი ეძებენ. აპრიორულად არიან დარწმუნებულნი, რომ ეს სილამაზე ხევში მოცემულია თავის თავად. სულიერი სილამაზე იქ არის საძიებელი, სადაც პიროვნება ათრეულია, მექანიზმა გადაქცეული და გარემოებით გალესილი, კუთხე-გაცვეთილი. სულს ცივილიზაცია ჰკლავს, და მატერიას ამტკიცებს. აქ იბადება სევდა დაკარგულ სულის გამო, და მისი ძიებაც მხოლოდ ცივილიზაციის წიაღში შეიძლება. ხევში კი, სადაც დამოუკიდებელი კულტურა იყო, ასკეტური თვით ჩახედვა და გაწმენდა, იქ საძიებელი იყო ფიზიკური სილამაზე, და ყაზბეგის გმირებიც ამ სხეულს ეწირებიან. თანაც: სულის პრიმატი—ქრისტიანობის შექმნილია, მაგრამ როგორც ქრისტიანობა, ისე სულის პირველობაც, დარჩა ოფიციალობის სფეროში, და სიცოცხლე კი კვლავ ევალება სხეულს. სილამაზე—სხეულიდან წასული აბსტრაქციაა და ბევრიც რომ ვესწრაფოთ სულს, ადამიანისთვის მაინც ძნელია შეხებითი საიდუმლოების დათმობა. სილამაზე კი, მართლა რომ შეხებითი საიდუმლოებაა დიმ. კარმაზოვი ამბობს:

„საზარელია ის, რომ სილამაზე არის არა მხოლოდ საშინელი, არამედ საიდუმლო საგანიაც ღმერთი ეშმაკს ებრძვის, სამარი ველი კი—ხალხის გულებია“—ო. და არამც თუ დოსტოევსკის, ბევრსა სტანჯავდა მადონას და აფროდიტას იდეა, მაგრამ ყაზბეგი მათ რიცხვს მაინც არ უკუთვნის. ყაზბეგი არ ფიქრობს. მისთვის სილამაზის საკითხი დიალექტიკის საგნად არ ქცეულა არასოდეს. აქ მხოლოდ ემოციებია, ამოთქმა უანგარიშო, და სიმძაფე, ყველაფრის გადამლახვი და გადამტანი.

***

არის ერთი მომენტიც ყაზბეგის შემოქმედებაში, სადაც უპირისპირდებიან ერთმანეთს ძველი და ახალი. ე. წ. „კულტურა“, რომელიც თავის ბრჭყვიალით ბევრს აბრმავებს, და ე. წ. „ველურობა“, რომელიც თავის უჩინარი ამაღლებით ხშირად ჰგრეხავს ამ „კულტურის“ გადაშენებულ სხეულს. ეს მომენტია—დანაშაული და სასჯელი. აქ არის ძველისა და ახლის დაპირისპირება სამართალში და სასჯელში სჩანს ადამიანის კულტურა. ვინ როგორ უცქერის? რუსეთი მოდიოდა როგორც დიდი „კულტურით“ დამძიმებული. ნამდვილად კი კულტურა-მოუნელებელი და ბარბაროსი. ყაზბეგის აზრით მათ შემოიტანეს მორალური გახრწნა, რითაც ბევრი დასნეულდა. მათ ხელში ადამიანი გეომეტრიული სხეული იყო, და არც უნდოდათ და ვერც ხედავდნენ ადამიანის შინაგან ქვეყანებს. იქ სინდისის ყაზბეგის სიტყვით, „დაქირავებულიც“ კი არ ჰქონდათ. სულ სხვა იყო თემის აქ სასოებაა, შიშია შეცდომისა, აქ დამნაშავე საფლავთან ლაპარაკობს და მსაჯულებიც „ღვთის პირით“ ეკითხებიან.

ნათქვამი აშკარავდება შემდეგი დაპირისპირებით, რის მსგავსი მაგალითებიც ყაზბეგის ნაწერებში ბევრია. „მოძღვარში:“ ონოფრეს 70 წ. კაცს, მღვდელს მკვლელობა დააბრალეს ქალისა, მაყვალასი. „დიდი ხანი იყო, რაც მოხუცი ციხეში დაეჭირათ, რაც განუწყვეტლივ მასთან გამომძიებელნი დადიოდნენ და ათასის კითხვებით თავს აბეზრებდნენ“... სასამართლოში კი ონოფრეს გამოუცხადეს:—„აეყაროს ღირსება, პატივი,“ და ოცდა ოთხი წლით გაიგზავნოს კატორგაში“... ასეთი იყო ახალი სამართალი. მაგრამ ნახეთ იმავ „მოძღვარში“ როგორია ასამართლებს თემი ნამდვილ დამნაშავეს:

—„თემს რომ გაძლიერებული ენახე გაუტეხელი, თავმოუხრელი, ჰაი ჰაი რომ გიჩვენებდა ძალასა: მოგგრეხდა და მოგტეხავდა. მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს მაგრამ თემობაშიც ვერ მიგიღებს... წადი იცხოვრე, იცხოვრე სადაც გინდა, როგორც გინდა“... ყაზბეგი ამ ორ გასამართლებას არ უპირისპირებს, მაგრამ აშკარაა, რომ აქაც დაპირისპირება არის ნაგულისხმევი, და ალბად დარწმუნებულიც იყო, რომ მკითხველისთვის მან აშკარად გახადა ის, რაც ასე ძალუმად სწამდა და ატირებდა. ეს ახალი სამართალი იდგამდა ფეხს. მთელი ეს გმირთა წყება, რომელნიც იტანჯებიან უმიზეზოდ, ისჯებიან უდანაშაულოდ, ამ „ახალი დროების“ გამოფენილნი არიან, ისინი ჩვენ გვიზიდავენ ძარღვებით, თვალებიდან გვიხსნიან ბისტს, და სულ ახლო მისულები, აცრილი თვალებით ვხედავთ იმ ყოველი უჯრედის „ციებ-ცხელებას, რომელიც სტანჯავდა ჩვენს მწერალს. აქ ესთეტიკა კი არა აქ ტანჯვისა და გამძლეობის საშინელი ფანტასტიკაა.

***

მე მგონია, რომ ამ ძველისა და ახლის დაპირისპირება მოკლებულია ხასიათს, აქ მართალია კონკრეტულად რუსეთი ჰლახავს თემის სიწმიდეს, მაგრამ რუსეთი მხოლოდ ზოგადი მოვლენის კერძო სახეა. ალ. ყაზბეგი იმაზე კი არ სწუხს, მხოლოდ რომ რუსეთი ანადგურებს საქართველოს, ხევის სახით არამედ იმას, რომ ხევი იშლებოდა რაღაც ახალ ძალით, და ამ დაშლას ჰქონდა ფატალური ხასიათი. მას არ სწამდა ეს ახალი. იგი შიშით უცქეროდა მის სიმშრალეს, და ადრევე ჰქონდა გამოგონილი საბრალმდებლო განაჩენი. მაგრამ თუ ეს მკაფიოდ არა აქვს გამოთქმული, ჩვენება მაინც არსებობს, რაც შემოქმედებიდან ცხოვრებაშიც გადმოიტანა, და ერთ დროს დიდი სალონების ბრწყინვალე კავალერი, დაუზოგველი დარდიმანდი, ცხოვრების პარიზული გამახვილებით მიმლები, გამოეხვია ხევურ ყისინაში, და შეუდგა მთას როგორც მორიგი მწყემსი, შემდეგ სარქალად ამორჩეული. მხოლოდ იშვიათად თუ ალაპარაკდებოდა მთაში ფრანგულად, ტურისტებთან შეხვედრის დროს, სადაც ფარული ირონიით აბათილებდა ამ განათლებულებს.—„წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაცა უცნაურს და ველურს მთებს შორის, სადაც იმათი შეხედულებით ბარბაროსები სცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მთის კაცი ფრანსიულად ელაპარაკება!“ ყაზბეგმა სრული შეგნებით აუქცია გზა ამ განათლებას. და მიაშურა იმ ხალხს, სადაც „პირი—მზეს“ ლოცულობენ, ის ხალხი არჩია, სადაც „ვაჟაი ნახჩი სჯობიან“, მაგრამ იხრჩებიან თავისუფლებისა და მართალ ვაჟკაცობისთვის.

***

არის რაღაც მიმზიდველი და დამაფიქრებელი, რომ ყაზბეგმა დასტოვა დაუმთავრებელ მოთხრობათა მთელი კარი. ვეღარ სთქვა. იქნებ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი ტონით დაიწყო შემოქმედება, დიდი გამძაფრებით და ენერგია აღარ ჰყო? მაგრამ აქ ახსნა არც კი არის საჭირო. სჯობს ისევ ისე დარჩეს ეს შემოქმედების გვირაბი, რომელიც ბნელი პირით იცქირება და ფანტასტიკას ამრავლებს.

***

დასასრულ იბადება კითხვა: ყაზბეგი ბელეტრისტია, პოეტია თუ რა არის მწერლობაში მიღებული ტერმინებით? მე მგონია რომ არც ერთის დარქმევა არ შეიძლება. იგი საზღვრებ გადალახული მწერალია. მისი შემოქმედება არაჩვეულებრივია: ზოგგან ღრმა, ზოგგან თხელი, მაგრამ მაინც აწყვეტილი და მგზნავი. იგი თავისებურია რომელიც ყველაფერს განზე სტოვებს და აჩენს მხოლოდ დიდი საშინელების ერთ კუნჭულს, პატარა კუნჭულს, რომელშიც ეს დიდი საშინელება მოკეცილა და ატრიალებს საბედისწერო ჯარას. მასზე იჩენება ბიოგრაფია—დავიწყებულ მოდგმის სული და ისტორიის მიერ დაწყევლილი ნების-ყოფა.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება იმდენად არის უბედურობით დამძიმებული, რომ არც კი შეიძლება ესთეტიური განზე განდგომა—შესაფასებლად თითქოს ეს რაღაც გახურებულ რკინის გაციებასა ჰგავს, იმ რკინის, რომლითაც იშანთებოდა ხევის კუნთ-მაგარი და გამოსული ტანი. მაგრამ მგონია ეს თქმა უკვე შეფასებაა. სხვანაირად არც კი შეფასდება ის შემოქმედება, რომელსაც ეპიგრაფად უნდა წაემძღვაროს მოხევეთა წყევის სიმღერა:

—„რიგ-რიგასა, რიგ-რიგასა, რიგ მოქცეულთათ,
„ვინც ჩვენ რიგი მოგვიშალოს, სახლდაქცეულთათ.
„საბოლოოთაც ამოსწყდეს რიგის მომშლელიო;
„რიგ-რიგასა, რიგ-რიგასა, რიგ მოქცეულთაო,
„ვინც ჩვენ წესი დაგვირღვიოს, სახლდაქცეულთაო.

**ვახტანგ კოტეტიშვილი.**

ტფილისი.

ტექნიკურ კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა კოტე ფოცხვერაშვილი და ფინანსიურ კომისიის თავმჯდომარეთ პართენ გოთუა.

**დიმიტრი ყიფიანის მემუარები.**

ნინო ყიფიანის ქალმა ქვიშხეთიდან ჩამოიტანა მისგან თარგმნილი მემუარები დიმიტრი ყიფიანისა „წრთვნა სულისა“, („Школа духа“) რომლის ხელნაწერი აღმოჩნდა დიმიტრი ყიფიანის არქივში ქვიშხეთში. მემუარები შეიცავს 200 გვერდს, თარგმანი ნინო ყიფიანმა წაიკითხა პოეტებისა და მწერლების წრეში, რომელიც მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

მთავარ ხელოვანთა კომიტეტმა ხელთნაწერი სთხოვა ქ-ნ ყიფიანს კომიტეტისგან განზრახულ ჟურნალში დასაბეჭდათ.

**დიმიტრი არაყიშვილის საღამო.**

მეორე სახელმწიფო კონსერვატორიაში მარტის დამლევში გაიმართება ამავე კონსერვატორიის დირექტორის —კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის მუსიკის საღამო.

პროგრამაში შეტანილია ახალი ნაწარმოები ავტორისა.

საღამოში მონაწილეობას იღებენ: ივ. სარაჯიშვილი, ალ. ინაშვილი, ვასილ შარაშიძე და ტერ დანიელიანი, და აგრეთვე კონსერვატორიის მოწაფეები.

**ვაგნერის საღამო.**

პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში შაბათს, 17 მარტს, გაიმართა რიჰარდ ვაგნერის საღამო.

სიტყვა ვაგნერზე სთქვა ს. ჩემოდანოვმა ჩვეულებრივის ფრაზეოლოგიით და არაფერის თქმით. მეორე მოხსენება, რომელიც უნდა წაეკითხა კოტე მარჯანიშვილს, არ შესდგა.

პროგრამაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდნენ კონსერვატორიის მოწაფეები, რაც სტოვებდა უმწეობის შთაბეჭდილებას.

ვაგნერის საღამოს მეტის პასუხისმგებლობით უნდა მოპყრობა. ახალგაზრდებში ბედნიერად განირჩეოდა ახალგაზრდა მომღერალი ექსანიშვილი, რომელმაც იმღერა ,,ლოენგრიდა“-ნ.

საღამოში მონაწილეობდა ალ. ინაშვილი.

**ალ. სუმბათაშვილი ქართულ დრამის შესახებ.**

მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია ინტერვიუ ალ. სუმბათაშვილი—იუჟინთან მისი ტფილისში გასტროლების შესახებ.

სუმბათაშვილი დიდის აღტაცებით იგონებს ტფილისში დახვედრას და აგრეთვე აღნიშნავს ქართულ დრამის აღორძინებას, განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას ,,ცხვრის წყარო“-ს დადგმას.

ალ. სუმბათაშვილი აპირებს მალე წერილის დაწერას ქართულ დრამის შესახებ.

**ალ. ბლოკის ,,თორმეტი“.**

პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი სთარგმნის ქართულად ალ. ბლოკის პოემას ,,თორმეტი“.

ეს პოემა ერთად ერთი ნაწარმოებია, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში მოუცია რუსულ პოეზიას. „თორმეტი“-ს თარგმანი არსებობს ყველა ევროპიულ ენებზე, გერმანულად ოთხჯერ არის გადათარგმნილი, ბერლინში და პარიზში მარტო რუსულად გამოიცა ოთხჯერ.

ეს პოემა უკანასკნელი შემოქმედებაა განსვენებული პოეტის.

**ქართველ მწერალთა კავშირი ბერლინში.**

ბერლინში ქართულ კოლონიაში დაუარსებიათ ქართველ მწერალთა კავშირი.

კავშირის სხდომებზე იკითხებიან მოხსენებები ქართულ და გერმანულ მწერლობიდან.

კავშირი აპირებს გამოსცეს ჟურნალი ქართულ ენაზე, რომლის რედაქტორი იქნება ნიკოლო მიწიშვილი.

**„ქიმერიონი“.**

საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბი ,,ქიმერიონი“, რომელიც კავშირებს ნარკომპროსმა ჩამოართვა, გადავიდა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის ხელში.

მწერალთა კავშირებმა თავიანთი უფლება კლუბზე გადასცეს ხელოვანთა მთავარ კომიტეტს და ხელოვანთა სასახლეს, სადაც შედიან ყველა ქართველი არტისტები და მწერლები. ხელოვანთა მთავარ კომიტეტმა ქალაქის აღმასკომში შეიტანა განცხადება, რომ კლუბი მას გადაეცეს იჯარით.

ამ ბოლო დროს ,,ქიმერიონ“-ში გამართული იყო ლოტო და ძვირფასი მხატვრობა ამ კლუბისა, სრულიად დაზიანდა.

იმედია, ხელოვანთა კომიტეტი გამოასწორებს ამ საქმეს და გამოიჩენს მეტ მზრუნველობას.

# ევროპის ქრონიკა

**მუსიკა ევროპაში**

ევროპის სამუსიკო დარგში სწარმოებს ახლა დიდი მუშაობა, როგორც უკვე დამკვიდრებულ მიღწევათა დაწმენდაში, ისე მუსიკალურ ფორმა,თა ჰარმონიის და ახალ ბგერათა გამომჟღავნების სფეროში.

მუშაობა ორივე მიმართულებით სწარმოებს გაცხოველებით, როგორც არასოდეს.

კერძოდ გერმანიაში განირჩევა უკანასკნელ დროს თავისი ნიჭით და ნაყოფიერობით ჯერ კიდევ სულ ამხალგაზრდა კომპოზიტორ პაულ ჰინდემიტ, რომელმაც თავის მუსიკალურ შემოქმედების ხანმოკლე განმავლობაში დასწერა სამი ერთმოქმედებიანი ოპერა, რომელთა შორის ,,წმინდა სუსანამ“ გამოიწვია საშინელი გულისწყრომა კათოლიკეთა წრეებში. მანვე დასწერა 4 კვარტეტი სიმებისათვის, სამი სონატა პიანინოსა და ფორტეპიანოსათვის და სხვა პატარა პიესები. მასთან ერთად სახელი მოიხვეჭა ახალგაზდა გერმანელმა კომპოზიტორმა იარნაკმა, რომელიც ბევრს მუშაობს კამერულ მუსიკის დარგში.

ინგლისში მეტად პოპულიარული არიან ახალგაზრდა კომპოზიტორები: არტურ ბლის, არნოლდ ბაკს, ამსტრომ გიპს, ჯონ ვილიამს. იტალიაში და საფრანგეთშიც სწარმოებს დიდი მუშაობა და აღორძინება მუსიკალურ ენერგიისა. უკანასკნელ დროს დაარსდა საერთაშორისო საზოგადოება თანამედროვე მუსიკისა, რომლის ცენტრალური ბიუროც ლონდონში იმყოფება.

იანვარში მოხდა კონფერენცია დელეგატებისა, რომელზედაც დაესწრნენ წარმომადგენელნი ევროპის ყველა სამუსიკო დაწესებულებათა. კარგი იქნება რომ ქართველ მუსიკოსთა კავშირიც შევიდოდეს სექციად ამ საზოგადოებაში. ამისათვის საჭიროა მხოლოდ განცხადების გაგზავნა ლონდონის ბიუროს სახელზე.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ზემო აღნიშნული საზოგადოება სცემს თავის ხარჯით ხალხურ სიმღერების კრებულს სხვა და სხვა ერთვნებათა.

**მაქს ნორდაუ.**

გარდაიცვალა ებრაელი მწერალი მაქს ნორდაუ. ის იყო გამოჩენილი სიონისტი.

როგორც მწერალმა და კრიტიკოსმა კი — ნორდაუმ დაიმსახურა სამწუხარო რეპუტაცია. მისი გამოსვლები თანამედროვე ხელოვნების წინააღმდეგ ტალმუდის დოქტრინებით, სამარცხვინო დარჩება კიდევ დიდხანს.

სიკვდილი ყველაფრის პატიებას მოითხოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ეხება მაქს ნორდაუს, როგორც კრიტიკოსს, რომელზედაც შეიძლება განმეორება ლეონ ბლუას მომაკვდინებელ სიტყვებს: ,,გარდაიცვალა ეს პალესტინის კრეტინი და ამბობენ, დაკვდა თავის ლიტერატურასო“...

ასეთი დაფასება ექნება ნორდაუს ყველგან, სადაც კი არსებობს მემარცხენე პოეზია, რომელიც არ დაივიწყებს ნორდაუსთანა პარტიზან-ფილისტერებს. მაგრამ ეს აზრი არის არა მარტო მემარცხენეების, არამედ საზოგადოთ, ბევრ კეთილშობილ მწერლის ნორდაუს შესახებ. მაგალითად: უდიდესმა თანამედროვე კრიტიკოსმა გეორგ ბრანდესმა ნორდაუს საჯაროდ უწოდა „პარიზის შარლატანი“.

სარედაქციო კოლეგია.


ახლად გახსნილი მაღაზია № 4

(რკინის რიგი)

ს. მ. უ. ს. ცენტრალური სავაჭრო სამმართველო

საპონი ნაჭრებით და ტუალეტი

(უოფილი ტოლე)

საქსოვი—ზეთის გამომხდელი და საპნის სადუღებელი ტრესტისა

ასანთი—ქარხნისა „25 ოქტომბერი“ (უოფილი ,,ასანთი“) ფანჯრის მინები

ხკობიალური, ტეხნიკური და სხვა და სხვა საქონლები

გაყიდვა სწარმოებს მხოლოდ ბითუმად

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა მმართველობა

აცხადებს რომ 20 მარტს, დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვოგზლის ქ. № [illegible]

დანიშნულია წერილებითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წ. 1 აპრილიდან

1 კლასის ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ შემდეგ სადგურებზე:

ბათომი, სამტრედია, მიხაილოვი, ახშური,

და 2 კლასის ბუფეტები შემდეგსადგურზედ:

ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყიბული, ხრესილი, მირული, ხეთა, ხაშური, ქარელი, აჯამეთა, ოორი, ვაზიანი, წყნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბაიდური.

სავაჭრო დარაბები (ბუფეტები) შემდეგ სადგურებზედ:

სამტრედია №№ 1 2. 3. რიონი № 1, მუხიანი, ხრესილი, მირული, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბათოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2 ნავთლუღ-კახეთის, აღტაღლის, მუკუზანი, წითელ-მინდორი.

საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზედ:

ნატანები სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი.

ის პირნი, რომელნიც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში ვალდებულნი არიან ან დახურულ კონვერტებით ჩაუშვან ყუთებში, რომელიც სპეციალურად გამოყოფილია საბჭოს დარბაზის კარებთან ან გამოგზავნონ ფოსტით თავის დროზედ. კონვერტებზედ, რომელნიც მიღებულ იქნება, როგორც პირადათ, ისე ფოსტით, აღნიშნულ უნდა იქნეს შემდეგი; ,,საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტებისა, დარაბებისა და საპარიკმახეროებისა“ განცხადებაში უნდაც უნდა იყოს აღნიშნული, თუ რისი აღების მსურველი არის და რას გადაიხდის წლიურად ოქროს მანეთებში.

განცხადებას თან თან უნდა ახლდეს: 1 კვიტანცია გადასახადის შეტანისა არა ნაკლების 10 პროცენტისა განზრახულ საიჯარო გადასახადისა ვისაც სურს რამდენიმე საქმის აღება, ის ვალდებულია ცალ-ცალკე შემოიტანოს განცხადება აღნიშნული წესით და პროცენტებიც. 2. შემოტანილი განცხადებანი უნდა იყოს გადახდილი საღერბო გადასახადით. იჯარით გაცემის დროს მმართველობა ხელმძღვანელობს არა მარტო განცხადებაში აღნიშნული გადასახადით, არამედ რკ. გზის მეურნეობის ინტერესებით.

3.—ის პირნი, რომელთაც ეხლა აქვთ იჯარით აღებული ბუფეტები, დარაბები (ბუტკა) და საპარიკმახეროები და და არა აქვთ შემოტანილი სრულებით საიჯარო გადასახადი ა. წ. 1 მარტამდე არ დაიშვებიან საიჯარო ვაჭრობაში.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება ყოველდღიურად 10—11 საათამდე დილით, გარდა უქმე დღეებისა. გზათა მმართველობაში (ტფილისი, ვოგზლის ქ. № 1. ოთახი № 64.)


ტფილისი, პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა № 191—1000 ცალი. სტამბა სამხედრო კომისარიატისა.